ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ქ. ბათუმი

14/05/2020

377-25-4-202005141404

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 377

„თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 27 თებერვლის №4-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის (კოდექსით განსაზღვრული გენერალური გეგმა) და ''ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის კონკრეტული უფლებრივი ზონირების რუკის (განაშენიანების რეგულირების გეგმის ზონირების ნაწილი) დამტკიცების შესახებ'' ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 20 აპრილის N25 განკარგულებაში (კოდექსით განსაზღვრული განაშენიანების გეგმა) ცვლილების შეტანის მიზნით **ი ნ ი ც ი რ ე ბ ი ს** თაობაზე

„თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 27 თებერვლის №4-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის (კოდექსით განსაზღვრული გენერალური გეგმა) და ,,ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის კონკრეტული უფლებრივი ზონირების რუკის (განაშენიანების რეგულირების გეგმის ზონირების ნაწილი) დამტკიცების შესახებ'' ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 20 აპრილის N25 განკარგულებაში (კოდექსით განსაზღვრული განაშენიანების გეგმა) ცვლილების შეტანის ინიცირების საფუძველია შპს ,,ტრანზიტ ინდასტრი დეველოპმენტი''-ს (ს/N400281869) დირექტორის გიორგი შოშიტაიშვილის 2020 წლის 19 მარტის N5958/25 განცხადება, რომლითაც განმცხადებელი ითხოვს ქ. ბათუმში მდებარე მიწის ნაკვეთებზე საკადასტრო კოდები: N05.32.06.177; N05.32.06.147; N05.32.06.171; N05.32.06.172 ფუნქციური ზონის ცვლილებას. დღეის მდგომარეობით აღნიშნული ტერიტორია წარმოადგენს გამწვანებულ ტერიტორიას, განმცხადებლის მიერ მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიის ინდუსტრიულ (ძველი სამრეწველო) ზონად ცვლილება; კონკრეტულად საწარმოო ზონად (იზ-1). დაინტერესებული მხარის მიერ წარმოდგენილია დასაბუთება, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: აღნიშნული

ტერიტორია ფაქტობრივად წარმოადგენს ინდუსტრიული (ძველი სამრეწველო) ზონის შემადგენელ ნაწილს, რომლის ძირითად ნაწილზე განთავსებული იყო სწორედ სამრეწველო დანიშნულების ობიექტი და ის შემოფარგლულია სხვადასხვა მძიმე და გადამამუშავებელი მრეწველობის ობიექტებით. მიწის ნაკვეთების არსებული მდგომარეობა ვერ პასუხობს გამწვანებული ტერიტორიებისათვის დამახასიათებელ თვისებებსა და მდგომარეობას, ვინაიდან იქ დღეისათვის განთავსებულია სამშენებლო და სხვა მყარი ნარჩენები, ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილზე ნიადაგი დეგრადირებულია და ასეთი ზონისთვის არის გამოუსადეგარი, ხოლო მისი რეაბილიტაცია სარეკრიაციო ტერიტორიად მოითხოვს მნიშვნელოვან სახელმწიფო სახსრებს, რაც არსებული ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე მიზანშეუწონელია. სამრეწველო ზონაში განთავსებული სამრეწველო ობიექტების ძირითადი ნაწილი აშენებულია გასული საუკუნის ბოლო ათწლეულებში, ვერ პასუხობენ თანამედროვე მოთხოვნებს, ამასთან ისინი წარმოადგენენ კერძო საკუთრებებს და დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე შეუძლებელია მათი სწრაფი გადაიარაღება. როგორც ცნობილია, ბოლო წლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარება მზარდია და მოითხოვს შესაბამის მხარდაჭერას როგორც ინფრასტრუქტურის ასევე თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი სამრეწველო ობიექტების არსებობით. ასევე მნიშვნელოვანია ადგილობრივად წარმოებული პროდუქციისა და მომსახურების ზრდა. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მოხდა წარმოდგენილი განცხადების შესწავლა, გაანალიზებული იქნა წარმოდგენილი დასაბუთება და ,,სივრცის დაგეგმარების და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2019 წლის 03 ივნისის N260 დადგენილების მე-6 მუხლის მე-2 პუქტის შესაბამისად დაინტერესებულ მხარეს მიეცა დავალება ,,სივრცის დაგეგმარების და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2019 წლის 03 ივნისის N260 დადგენილების მე-6 მუხლის მე-2 პუქტის შესაბამისად გათვალისწინებულ საკითხებზე.

საქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი''-ს 42-ე მუხლის მე-9 პუნქტის; ,,სივრცის დაგეგმარების და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2019 წლის 03 ივნისის N260 დადგენილების მე-5 მუხლის პირველი და მესამე პუნქტების; მე-6 მუხლის; მე-20 მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების ,,ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2019 წლის 03 ივნისის N261 დადგენილების შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1) მიღებული იქნას გადაწყვეტილება „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მიწათ-სარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 27 თებერვლის №4-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის (კოდექსით განსაზღვრული გენერალური გეგმა) და ,,ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის კონკრეტული უფლებრივი ზონირების რუკის (განაშენიანების რეგულირების გეგმის ზონირების ნაწილი) დამტკიცების შესახებ'' ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 20 აპრილის N25 განკარგულებაში (კოდექსით განსაზღვრული განაშენიანების გეგმა) ცვლილების

შეტანის მიზნით ინიცირების თაობაზე;

2) გაიცეს დავალება ,,სივრცის დაგეგმარების და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2019 წლის 03 ივნისის N260 დადგენილების მე-6 მუხლის მე-2 პუქტის შესაბამისად გათვალისწინებულ საკითხებზე.

3) წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის. ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4) ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლაშა კომახიძე

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი